სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელისმომწერნი გაზეთის დასხვევ- ...მისამართავენ რედაქციას დილის ... საათამდე და საღამოს 6—7 ... „ქ. ქ. სხ." წიგნის მაღაზიას.
...მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
...პირ მოლაპარაკება რედაქ- ...ციასთან შეიძლება ყოველდღე.
...ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

ტფილისი

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან., და 50 კაპ.

დააჭაშნიკეთ
გაუწურავი ღვინოები
პირდაპირ ბოჭკიდან ბოთლში ჩამოსხმული
„იყალთოს"
...ორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა გოლოვინის პროსპექტი სას ტუმრო „როსსიას" ქვეშ სახ. ანტონოვისა, № 19.
იქვე შეიძლება ღვინის სმა

...კურნალო და ამბულატორია
ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
...ურნალოში 50 საწოლია ავად... ...თათვის მიიღებიან ავადმყოფ... ...მანაგანისა, ნერგების, საქარუ... ...თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
...ამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
...მყოფთ სინჯავენ დილის 11 ...დგან ნაშუადღევის 3 საა...
...შინაგან და ნერვების ავად...ობას სწამლობს ხ. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას ...სიფილისს ფ. კ. მერაბი.
...თა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
...სიდამ—ღედათა ავადმყოფო... და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
...ლების ავადმყოფობას—ი. კ. მარშავსკი.
...ლატორიასთან არის კაბინეტი ...ო და საბაქტერიოლოგიო ...ელევისათვის, ელექტრონით ...ობისათვისა და მასაჟისთვის.
...ნალო დირექტორი ხ. ბ. თოფურია
...ница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.

## ...ნი და მთავრობის განკარგულებანი.

...-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

ნაბედრენიკით დაჯილდოვებულ არს ქალაქ ტფილისის გარეთუბნის „ნაძალადევის" სამლოცველო სახლის მღვდელი ვლადიმერ გუგრგენიძე, ამავე სახლში ღვთის მსახურების დროს 13 დეკემბერს.

გამოეცხადათ საეპარქიო მთავრობის მადლობა მღვდელ-მთავრის ლოცვა კურთხევის გარდაცემითურთ: ტფილისის მოქალაქეებს ივანე ბერიშვილს და ივანე სევანოვს წილკნის ღვთისმშობლის ტაძრისთვის პირველის მიერ 250 მანათად ღირებულ რკინის ჭიშკრის, მეორისგან 40 მან. ღირებულ ხომლის შეწირვისთვის.

გლეხი გიორგი ზარდიაშვილი—გურჯაანის ეკკლესიისა, პირველ სამსწ. ლობით.

გლეხი ივანე კაკაბაძე, ველისციხის ღვთის მშობლის ეკკლესიისა, მეორე სამწლობით და გლეხი ილია ნობლაძე, გურჯაანის მთავარანგელოზისა, პირველ სამწლობით, სამივე 3 დეკემბერს.

გლეხი ლაზარე კაკაბაძე, ძველ გავაზის ეკკლესიისა და გლეხი ივანე ნანობაშვილი, ძველ გავაზის ღვთისმშობლის ეკკლესიისა, ორივე 3 დეკემბერს.

# ახალი ამბავი

*** რედაქტორები სამსჯავროს წინ. დღეს, 6 მარტს სასამართლო პალატაში ირჩევა სამი სალიტერატურო საქმე: ბრალი ედებათ ტფილისის გაზეთების რედაქტორებს—„კავკასისას" ვ. ველიჩკოს, „ცნ. ფურცლისას" ვ. გუნიას და „ტფ. ფურცლისას" ხ. ხეჩატუროვს. პირველ ორთ ამტყუნებს სოჩის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი გლაგოლევი, რომ ცილი დამწამესო. ხოლო მესამეს—სახალხო სკოლების ინსპექტორი ბოგდანოვი (დუმბაძის საქმის თაობაზე). იცავენ—ვ. გუნიას ბ-ნი გ. გვაზავა და ხეჩატუროვს ივანე ხეჩატუროვი.

*** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა კრება. გუშინდელ კრებაზე გუბერნიის თავად-აზნაურობისა დამტკიცებულ იქმნა განაჩენი წინანდელის დღის გარდაწყვეტილებისა, რის შემდეგ საგანგებო კრება დაიხურა. შემდეგ ამისა თავად-აზნაურობა შეუდგა მსჯელობას სხვა და სხვა საჭიროების საგანზე. დუშეთის მაზრის მარშალმა ყარანგოზოვმა, როგორც მოეხსენებათ ყველას, ასი წელიწადი სრულდება ორის წლის შემდეგ რაც ჩვენი საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ ეს სასიხარულო დღე ვიდღესასწაულოთ ღირსეულად. კრება თანახმა გახდა და დაადგინა სურვილი გამოუცხადდეს 4 აპრილის თავად-აზნაურობის კრებას აღსრულებაში მოსაყვანად.

კრებამ ამოირჩია სპეციალისტების კომისია, რომელსაც დაავალა შეიმუშავოს პროექტი ნაფიცი მსაჯულებისა, წარსადგენად განსახილველად იმავე 4 აპრილის კრებისა (введеніе суда присяжныхъ). დასასრულ წაკითხულ იქმნა თხოვნა თ. ივ. ს—ძე ჭავჭავაძისა, რომელიც უარს ჰყოფს თავად-აზნაურთა ქარვასლის გამგეობის თავმჯდომარეობას სხვა და სხვა მიზეზების გამო.

კრებამ უპასუხა, რომ ნება არა აქვს ამ ყრილობას მათი დათხოვნისა, რადგანაც იგი არის ამორჩეული საგანგებო კრებისაგან, ამისათვის ახალნი პირნი შეიძლება ამორჩეულ იყვნენ მხოლოთ 4-ს აპრილის კრებაზედ. საზოგადოებამ სთხოვა თავადს ჭავჭავაძეს და აგრეთვე სხვა პირთ, რომლებმაც იმავე კომისსიას თავი გაანებეს, დარჩნენ 4-ს აპრილამდის.

დიდი მადლობა გამოუცხადეს თავ. ქაიხოსრო ქაიხოსროს ძეს ხერხეულიძეს იმავე გამგეობის ხაზინადარს თავის ერთგულის და უსასყიდლო სამსახურისათვის.

*** ავლაბრის პროგიმნაზიის საქმე. ტფილისის გუბერნატორის თანამ. აღმ. წარუდგინა კავკასიის მთავარმმართებელს ტფილისის ქალაქის მმართველობის შუამდგომლობა ავლაბარში სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ

*** სამეურნეო თანხები. ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსებს, წარმოადგინეთ 15 აპრილისათვის ცნობები სამეურნეო თანხების მდგომარეობის შესახებაო.

*** უვარგისი ამერიკის ვაზების გაყიდვა. ქუთაისის მაზრის ზოგიერთ კერძო სანერგეებში დამყნილ ამერიკის ვაზების უმეტესი ნაწილი სრულიად უვარგისი აღმოჩენილა გასაშენებლად. ერთგან უვარგისი ვაზების რიცხვი 81% ყოფილა. ამის გამო, საქარის სანერგის მმართველის შუამდგომლობით, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა: რათა ამერიკულ ვაზების მყიდველებმა თავიდან აიშორონ უვარგისი ვაზების ყიდვა, დაევალოს მცოდნე კაცებს კერძო სანერგეების გასინჯვა და მიეცეს სანერგის პატრონებს შესაფერი მოწმობა, თუ მათი ვაზები კარგი აღმოჩნდება, მოწმობა წაერთმევათ სანერგის პატრონებს, თუ ისინი შეინიშნენ უვარგისი ვაზების გაყიდვაში.

*** შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსება. ტფილისის პოლიცმეისტერს წარუდგინა ტფილისში ახლად დაარსებულ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წესდება. ამხანაგობას აარსებენ ტფილისის ზოგიერთი მცხოვრებნი.

*** თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. თავად-აზნაურთა

საგანგებო კრება განზრახულია მომავალ აპრილის პირველ რიცხვებისათვის.

*** **ქართულ დაბადებას შესწორების საქმე.** ქართულ დაბადების შემსწორებელი კომიტეტი გზავნის არქიმანდრიტს დოსითეოსს ქ. ქუთაისში იმერეთის ეპისკოპოსს, ყოვლად-სამღვდელო ბესარიონთან, იქიდან ქართული დაბადების ორი ვარიანტის წამოსაღებად, რომელიც ინახება ქუთაისის ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარში და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში, რომელიც აშენებულია ბაგრატის ტაძრის ნანგრევზე. ეს ვარიანტები ეკუთვნის მე-XII და მე XIII საუკუნოებს და შეიცავს ქართული დაბადების ტექსტს, შესწორებულს საეკლესიო წიგნების შემსწორებელთა წმ. ექვთიმე და წმ. გიორგის-მიერ.

*** **საქველ-მოქმედო საღამო ქუთაისში.** 27 თებერვალს ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დარბაზში გაიმართა სალიტერატურო სამუსიკო საღამო, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ქ-ნის ძნელაძის მონაწილეობით დაიდგა ერთი სურათი ოპერიდან ნორმა. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო აკაკიმ, სამუსიკოში ქ-ნმა გრიაზნოვისამ ბ-მა კოვალენსკიმ, სერებრიაკოვმა და ქართულმა ხორომ ბ. მამფორიას ლოტბარობით. საღამოს წმინდა შემოსავალი უდრის 200 მანეთს.

*** **ავადმყოფობა სამურზაყანოში.** სამურზაყანოდან გვწერენ, რომ იქ გავრცელდა ყვავილით ავადმყოფობა, თუმცა ეს სენი ჯერ არავითარ მსხვერპლს არ იწირავს, მაგრამ ხალხი მისგან შეშინებულია და გარდა ამისა, მისი შიშით ბევრ სასწავლებელში სწავლა შესწყვიტეს. დ. ოჩამჩირეში გაჩნდა ყელ-ჭირვება (კისერა), რომელმაც ერთ ოჯახში ორი კაცი იმსხვერპლა. აქვე გავრცელებულია ინფლუენცა, რომლისაგან ავად არის ოცამდე კაცი. ექიმები ადგილობრივ ნაკლებად მოიპოვებიან და ამის გამო ქ. სოხუმიდან მოიწვიეს ექიმი დიმიტრიევი, რომელიც დიდად პატიოსანი კაცი აღმოჩნდა, გულმოდგინედ სწამლობს ავადმყოფთ და გასამრჯელოს კი არ იღებს, რისთვისაც ადგილობრივნი მცხოვრებნი დიდი მადლიერნი არიან მაზე.

*** **ახალი დანიშნულება.** კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველად დანიშნულია საშინაო საქმეთა სამკურნალო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი დოქტორი სმირნოვი („ნ. ობ.“).

*** **ბრძოლა ყაჩაღობასთან კავკასიაში.** პეტერბურგიდან „ტფ. ფ.“-ს დეპეშით აუწყებენ, რომ კავკასიაში ყაჩაღობის მოსასპობად, სხვათა შორის, განზრახვა აქვთ შეაიარაღონ იმ ადგილების მცხოვრებნი, რომლებშიაც უფრო სასტიკად მძვინვარებს ყაჩაღობა. შეიარაღებული მცხოვრებნი საჭიროების დროს ვალდებულნი იქნებიან დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას.

*** **ხორცის ნარხის საქმე.** ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მოხსენება იმის შესახებ, რომ დაწესდეს ხორცზე ნიხრი ხარისხობით.

*** **ნორმალური სკოლები ამიერ-კავკასიაში.** იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დიდი და ძლიერია ამიერ-კავკასიაში ნორმალურ სკოლების გახსნის საჭიროება, კავკასიის გუბერნატორები ჰკრებენ ცნობებს ყველა იმ სოფლელ ბავშვების შესახებ, რომლებიც სასკოლო ხანში შესულან, მაგრამ სასოფლო ნორმალურ სკოლებში არა სწავლობენო.

*** **გემის დაკარგვა.** გაზ. „ჩერ. ვესტ“ იუწყება, რომ წარსულს კვირას კერჩიდგან ფეოდოსიაში მიმავალი იალქნიანი გემი სადღაც უგზო-უკვლოდ დაიკარგაო.

*** **უწმ. სინოდის სამეურნეო განყოფილება** შეუდგა იმ კითხვის გამორკვევას, თუ როგორ უნდა მოეწყოს როგორც ეკკლესიებისა და საეკკლესიო-სამრევლო შენობებისა, აგრეთვე სასულიერო უწყების შენობების დაზღვევის საქმე. ამ ჟამად განყოფილებამ მოითხოვა ამ საგნისათვის საჭირო ცნობები საეპარქიო მთავრობათაგან.

*** **სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატები.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის კანდიდატებად ასახელებენ უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის და დეისტ. სტ. სოვ. ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის. („ნ. ობ.“).

*** **საფეიქრო სახელოსნოს დაარსება.** ქ-ნის ო. მ. ჟორდანიას თაოსნობით, ზუგდიდის მაზრის სოფ. ცაიშის სასწავლებელთან გაიმართა საფეიქრო სახელოსნო, რომელშიაც უსასყიდლოდ ასწავლიან აბრეშუმისა და მატყლის ქსოვას როგორც სკოლის მოწაფეთ, ისე გარეშე ბავშვთაც.

*** **არ. გეგეჭკორის და ვ. შალიკაშვილის საქმე.** მკითხველ საზოგადოებას ალბად ეხსომება, რომ წარსულის წლის 21 დეკემბერს ს. აკეთში აქაურ წიგნთ-საცავის წინ სრულიად უმიზეზოდ და უდანაშაულოდ აზნაურმა ვალერიან შალიკაშვილმა სიტყვითა და მოქმედებით შეურაცხჰყო აკეთის ორკლასიან სკოლის ზედამხედველი არკადი გეგეჭკორი, რომელსაც აგრეთვე დაემუქრა ხსენებული შალიკაშვილი, რომ უფრო დიდ საზოგადოებაში გაგლახავო. ეს საქმე ბრალდებულის დაუსწრებლად 1 თებერვალს ამა წლისას გაარჩია ჩოხატაურის სასამართლო ნაწილის გამგემ ბ-ნმა პეკარსკიმ და ბრალდებულს შალიკაშვილს მიუსაჯა სამი თვით დაპატიმრება. სასამართლოში მოწმეების ჩვენებიდან დამტკიცდა, რომ შალიკაშვილი წინადვე მოფიქრებული განზრახვით შეხვედრია რა წიგნთ-საცავის წინ არკადი გეგეჭკორს, შემოუკრავს მისთვის რამდენჯერმე სახეში სილა, შემდეგ წაუქცევია, დაუგორებია იქვე თავდაღმართზე და წიხლითაც უცემია, ხოლო ბოლოს დამუქრებია, რომ ასეთი გალახვა რა უნდა იყოს, უფრო დიდ საზოგადოებაში უნდა გცემოვო, უგინებია დედმამა და სხვა უწმაწურ სიტყვებითაც მოუხსენებია სახელი გეგეჭკორისა. საბუთად ამ შეუსაბამო საქციელისა შალიკაშვილს ის ამბავი მოუმიზეზებია, რომ ვითომ გეგეჭკორს გაზეთის საშუალებით ცუდათ მოეხსენებინოს ბიბლიოთეკის გამგე ჯამულეთ ბაქუნაიშვილი, ნიკო თავდგირიძე, ვისია თავდგირიძე და მთელი აკეთის საზოგადოება. ბ-ნმა გეგეჭკორმა მოსამართლეს წარუდგინა „ცნობის ფურცლის“ ის №, რომელშიაც ვიღაც „შავ ყვითელის“ შენიშვნა არის დაბეჭდილი აკეთიდამ და რომელშიაც ნათქვამია, რომ აკეთში უკეთუ ზოგიერთი ზნე-დაცემული კაცი და ქალი არ იყვნენ, უფრო კარგი იქნებოდაო. წარუდგინა აგრეთვე ის № რიც, რომელშიაც ხსენებულის გაზეთის რედაქტორი ამოწმებდა, რომ ზემო თქმული შენიშვნის ავტორი არკადი გეგეჭკორი არ არისო. საყურადღებო დასაგულისხმიერო იყო მოწმეთა ჩვენების ის ადგილი, რომლიდამაც გამოჩნდა, რომ იმ დღეს, რა დღესაც ეს უსიამოვნო ამბავი მოხდა, ბიბლიოთეკის გამგეს ჯამულეთ ბაქუნაიშვილს დაუბარებია ბიბლიოთეკაში არკადი გეგეჭკორი და ერთის მანდილოსანის წერილი გადაუცია. ეს წერილი მუქარის კილოთი ყოფილა დაწერილი. ხოლო ბაქუნაიშვილი როცა განშორებია გეგეჭკორს იქვე მახლობელ
დუქანში შესულა და სამაგიე[...]
იქიდამ ბ-ნი შალიკაშვილი [...]
ბრძანებულა ამ საგმირო ს[...]
ჩასადენად.

აკეთე[...]

*** **ქუთაისი.** „საქმენი
საგმირონია“. სულ სხვა ქვეყ[...]
ჩვენი იმერეთი, ჩვენი ქუთ[...]
ყველგან, სხვა ქვეყნებში და
ლაქებში ყველაფერი კანო[...]
და წესდებებზე დაფუძნებ[...]
კანონი და წესდებანი ყვე[...]
თვის ერთი უნდა იყოს, ყ[...]
უნდა ემორჩილებოდეს და
იქცევიან ყველგან! მხოლოდ
უკაცრავად, ჩვენ ჩვენი კა[...]
გვაქვს, ჩვენი წესდება! ად[...]
ტებით გაჭედილი ქუთაისი[...]
ხრიკს და კვანტს გამოსდე[...]
ლა კანონს, რომ თავიც და
ლოც დაგავიწყოს!

ადვოკატების უსტაბაში, ს[...]
ჩამდგმელი ამ უწესოებისა და
თავად-აზნაურო ბანკის ამომ[...]
ყურსაც არ აპარტყუნებს, რ[...]
საც წესიერი წევრნი უწესო[...]
მედებას უმჟღავნებენ და მი[...]
თებენ.

— „თქვენ თქვენი სთქვით,
ჩემსას ვიქ“! ამბობს ეს ხრი[...]
სტერი და თან იცინის.

თუმცა ფრანგების ანდაზის[...]
იყოს, „სიცილით ის იცინის
გად, ვინც ბოლოს გაიცინებ[...]

ვინც ეხლა ხარხარებს და
და „ვაშას“ დასძახის წარ[...]
მოქმედებს, ისინი რომ ბო[...]
ვერ გაიცინებენ, ამის ნი[...]
ახლაც სჩანს:

ქუთაისის ბანკის მოქმედე[...]
შემოსავალი თან და თან ის[...]
რდება, რომ ტფილისელი [...]
ვის „სუდნი კასსა“ მალე ჩა[...]
ლავს თავის „ოპერაციებით“.

როდესაც საშუალება ალა[...]
ქნება ერთად-ერთი სკოლა
ნახოთ ბანკის საშუალებით,
უსაშვალოთ ვიცემთ და ვიშ[...]
ნებთ გულზე ხელებს, მაგრამ
ველელი არვინ აღმოგვიჩნდ[...]

ახლა მოვყვეთ, ბატონო,
ნასკნელი არჩევნების ამბებს
კლეა ეგე ამბავი! გამგეობამ
ლა თავისი კაცები აირჩია [...]
ძველი „ტრიუმვირები“ იკრ[...]
საწყალ დაწიწილებულ ბანკ[...]

ოპოზიციამ მიანება თავი[...]

— „გამოჩეკეთ, ლაყე კვ[...]
ბი და ვნახოთ თუ უფრო [...]
ყრალდეს „თქვენი“ ბანკის
ებიო“!

ბ. კ. ბაქრაძემ ვერ მოი[...]
და გაჰკივოდა არჩევნების ზა[...]
უკანონოთ იქცევით, სიები
დროზე არ გამოგიცხადებია[...]
და არ დაგიცავთ, წესდება
დაურიეთ და კენჭის ყრა [...]
ნო იქნებაო, მაგრამ „პრე[...]
ტელ“ ბ. ლოლუამ მაინც
უპასუხა.

-ქე რას პურტყულობ, ბოშო, ხსედანია“ გავხსენი და კენ- ჩამოვატარებო და დაიწყო: -გოგია ცენტერაძე, გამოდი აა, შენ კენჭი, დაუყევი ამ ებს და ჩააგდე თით .. ხომ ..

-გოგია ცენტერაძეს მოჰყვე- ლაქველიძე, ტურაზელიძე, ულიძე და ამ გვარი „გვა- ნი“. მეკენჭენი, რომელნიც ველია, მოწვეულნი არი- არა ნებით მოსულან თა- სოფლებიდამ.

ქვნაც ყოველივე ამისა ის რის, რომ ისევ ძველნი „გმი- ბანკში იგმირებენ, სანამ ზიციის“ გმინვა საერთოდ აღიქცევა და ამ გმირთ „საგ- ა“ საქმეს არ დაჰართებს!!!

დ. ვერმიცანიშვილი

ლთი. სამკითხველოს საქმე. ზოგადო სამკითხველოს საქმე ამ ცოცხლათ მიდის, ხალხი ისად ეტანება ჟურნალ-გა- ზების კითხვას.

გამუსულმანების ისტორიის ება. მაღალ-ყოვლადუსამღვ- რეს ალექსანდრე ეპისკოპოზს ჰრახავს დაბეჭდოს თავის სა- ო ქართველთა გამუსულმანე- ისტორიის მასალები, რომლის არი წერა-კითხვის მცოდნე ველ მაჰმადიანებს უფასოთ იგდებათ. მაღალ-ყოვლად ველოს ეპისკოპოზს ამ წიგ- ამოცემა მით უფრო მოუ- ებია, რომ ქართველთ მაჰმა- ებთ შორის, ბათუმის ოლქ ეკვე გამოსულან ისეთი ქარ- მუსულმანები, რომლებიც ნთი გათათრების ისტორიის ნას მუდარებით ითხოვენ.

. გორი სამკითხველოს უქონ- . დიდი სამდურავი ისმის აქ ხველოს უქონლობაზე. შე- ბით გორთან ლანჩხუთი პატა- აბა არის, მაგრამ იქ არსე- კობტა სამკითხველო, ასევე სხვა ასეთ დაბებშიაც ალაგას არის გახსნილი კარ- მკითხველოები, ხოლო გორს იქმნა და არ იქმნა და არა ა რა, რომ ასეთ ვრცელს ო ქალაქში ერთი სამკით- დაარსებულიყო. აქაური- უმეტესობა სამკითხველოს ლობისაგან დიდათ შეწუხე- ა.

გი იქმნება, რომ ამ საქი- ქმეს აქაურმა წიგნის მაღა- პატრონმა მაინც მიაქციოს ლება და თავის წიგნის მა- ს გვერდით ერთს ოთახში სოს, რაშიაც, ცხადი საქმეა, საზოგადოებაც ჯეროვანს ებას აღმოუჩენს.

ზოგიერთ ბუფეტის პატრო- ნებისაგან სამდურავი ისმის, რომ თუმცა ჩვენ, ღვინის მყიდველე- ბის ტფილისის კახეთის მემამულე- თა ამხანაგობის „კახეთის“ გამგებ- ლებს წერილებს ქართულად ვწერთ, ყოველივე საქმეს მათთან ქართუ- ლათ ვაწარმოებთ რადგან ჩვენ ვიცით, რომ ისინი ქართველები არიან, მაგრამ ისინი კი ქართულს ენაზე ხმას არ იღებენ, თითქო არ კადრულობენო. ბლანკებიც სხვა ენაზე აქვთ შედგენილიო, სომხის სირაჯებისაგან კი როცა ჩვენ ღვი- ნოსა ვიბარებთ, აუცილებლათ მათ- გან ქართულათ დაწერილი ბარა- თები მოგვდისო.

** **ქიზიყი.** ავადმყოფობა და ხალ- ხის უყურობა. სოფლებში ძლიან მოდებულია ავადმყოფობა. ექიმე- ბის სიტყვით ხალხი ზიანობს ფილ- ტვების ანთებით, ძლიან დაზა- რალდა სოფლები, დღეში თითო ლვ ღელს სამი-ოთხი მიცვალებული ჰყავს. აქამდინ ყურს არავინ უგ- დებდა ამ უბედურებას, ეხლა კი უმაღლეს სამკურნალო მთავრობას ყურადღება მიუქცევია ბატონ მაზ- რის უფროსის თხოვნისთვის, რო- ლიც გამოიწვია მღვდელ მაქავა- რიანის მოხსენებამ, რომ ხალხი უწყალოდ იხოცება უექიმოთაო და უბრძანებია მაზრის ექიმისათ- ვის აუცილებლათ მუდამ დღე უნდა იარო სოფლებში, ვიდრე სენი მძვინვარებს, გაშინჯო ისინი და დახმარება აღმოუჩინოო. ეს ორი დღეა რაც ექიმი სოფელ-სო- ფელ დაიარება და დღეში 30—50 ავადმყოფს შინჯავს. ხშირად ჩვენი ხალხია ხოლმე დამნაშავე და სხვას აბრალებენ გულ ცივობას, წარ- მოიდგინეთ მთელი სოფლები გა- ნადგურდა და არც დიდმა, არც პატარამ და არც მათ სამწყსოთ დაყენებულმა დამოძღვრადეთ არ აცნობეს მთავრობას და არ ითხო- ვეს გაჭირვებულ დროს დახმარება. ეს ხომ სულ უმცირესი მოქმედე- ბაა, თვით კანონიც მოვალეთ ხდის ყველას სატკივრის გავრცელება გამჟღავნებულ იყო, მაგრამ ამ მოქ- მედებისათვისაც კი მადლობის ღირ- სია მღ. მა—ნი, რომელმაც საერ- თო სიჩუმე დაარღვია ხალხის სა- კეთილ-ცდეოთ და თავისავე სა- სარგებლოთ აცნობა მთავრობას არა ჩვეულებრივი და საზარალო მოვლენა. ბევრი სენის გავრცე- ლებას სოფლებში მითომ და ხალ- ხის სიყვარულით მალავს ასევე სმე- ნია თურმე ერთს ახალგაზრდა მქა- დაგებელს, რომელსაც ახლო მცნობ ნი ყველანი უქებენ ცოდნას და- სადაც განათლება შეგნებაზედ ჩა- მოვარდება საქმე იმას წააყენებენ ხოლმე მაგალითად, ამ მქადაგებლის აზრით მის სამწყსოში ანთებასთან ერთათ ხუნაგიც არის გავრცელე- ბული, მაგრამ რადგან ხალხს ეში- ნიან თუ გაიგეს კარანტინს ჩააყე- ნებენო, არ ამხელს. მახლას. ამის- თანა ხალხის სიყვარულს! ზოგი სოფლის დარაჯი თუ ხედავს და ამცნევს ბოროტებას, მაგრამ ხალ- ხის ცრუ მორწმუნოებას ემონება თავის პირადი სარგებლობისათვის, ზოგი დარაჯი კიდევ ვერ ხედავს და ვერ ამცნევს, რადგან არ ფიქ- რობს თავის სადარაჯოზედ, ან თუ ხედავს ისიც ერიდება ამის გამო ატეხილ მიწერ-მოწერას მისვლა მოსვლას და ისიც მალავს. ამრი- გათ სოფლები თავის თავზედ მი- ვარდნილნი მისდევენ ცრუ მორ- წმუნოებას, მკითხავ მარჩიელებს რჩევა დარიგებას და სოფლის მა- წანწალა ექიმბაშებს, რომლებიც საუცხოვოთ სარგებლობენ გარე- მოებით. აბა კარგს რას უნდა მოველოდდეთ ამისთანა ღვთის- სანაბრათ დატოვება სოფლებიდ- გან და ან იმათ მცველი დარა- ჯებისაგან, როდესაც თავიანთ პი- რადი სარგებლობისათვისაც არა ზრუნავენ.?

კობალაძე

** **ს. ახალ-უბანი.** (ქართლი). ს. ახალ-უბანში ცხოვრობენ, მო- მეტებული ნაწილი, გლეხები; მათ შორის აზნაურებიც ურევიან. მკითხველებს უნდა გავუზიარო აქაური უწესოება და დაბრიყვება გარეშე სოფლელი გლეხებისა. ამ საფელში დუქნები აქვთ აზნაურებს და იმით თუ ცოცხლობენ, თორემ უიმისოთ საწყლებს სულები ამოხ- დებოდათ. გარეშე სოფლელი გლეხი კაცი თუ მომეტებული ოსები თავიანთ სახლიდან იკლებენ საჭმ ლებს, მაგალითად: ერბოს, ყველს და სხვას, მიაქვთ გასასყი- დათ; სად უნდა გაჰყიდონ? ისევ აზნაურებს მიჰყიდონ თორემ შორს წასვლა ეზარებათ და ჰგონიათ პირნათლადაც მოეკიდებიან მათ, რადგან დუქნების მუშტრები და მოკავშირენი არიან... ნეტავი ვი- ცოდე, იმისთანა კაცი, რომელიც იყვეს ღვთისნიერი ამ სოფელში, მეტადრე აზნაურები წრეს გადა- ცილებულები არიან. საწყალ კა- ცებს ატყუებენ, ათი გირვანქა ერ- ბო რომ მოუტანონ და მიჰყიდონ, ხუთ გირვანქად აუწონამენ. საზ რალოა ბედ-შავი გლეხი, რომე- ლიც სასყიდლათ ან გასასყიდათ აქ მოვა: კაპიკიან წუმწუმაში შაურს ართმევენ, შაურიან წვრი- მალს აბაზში იყვანს და სხვა...

ფრონის პირელი.

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

დიდგული. (ქართული) ქრუახე (იმერული) ჯაშქვიდა (მეგრული) ხნდევგნ, ტანტვენი (სომხური) მურვარ, ხავალ-ალაჯ (თათრული) აბაგმა ათონოიზე (აფხაზური) ფე- დაგდ (ოსური) პართ-პართ (ლეკუ- რი) ბუზინა (რუსული) სამბუკუს ნიგრა (ლათინური) ბევრი სხვა- და-სხვა ჯურისაა, რომლებიც ერ- ჩევიან ერთი ერთმანეთს ფოთლე- ბით, ყლორტებით, სიმაღლით, ნაყოფით, ყვავილით, ფერით და სხვა, გვარობს ყველგან მთებში ტყეში და მინდვრათ, სხვა მცენა- რეებივით ნაზი არ არის, უყვარს ნოტიო ადგილი, ყვავის თეთრ- მოყვითალოთ, მის მასალას მეურ- ნეობაში არა აქვს დიდი მოთხოვ- ნილება, თუმცა ზოგიერთ ადგი- ლებში ხმარობენ ქიგოს მაგიერ. ზოგიერთ ადგილებში მეტადრე იმერეთში მის შავ ნაყოფს დუღი- ლის დროს უშვრებიან ღვინოში საფერავის მაგიერად, შავი ფერის მისაღებათ. მაგრამ ამისთანა ღვი- ნოს უკარგავს ბუნებურ გემოს, სუნს, ღირსებას და ადამიანის სხეულზედაც ცუდათ მოქმედობს, იცის თავის ტკივილი და გულის რევა. მის ქერქს, ფოთლებს, ყვა- ვილს, ნაყოფს დიდი მოთხოვნი- ლება აქვს აფთიაქებში; მეტადრე მის ყვავილს ხმარობენ ჩაის მა- გიერ ოფლის მოსადენად გაციე- ბის დროს. ამ ჩაის უწოდებენ რუ- სულად (ბუზინოვიჩაი) მრავლდე- ბა, ტოტებით, თესლით და ფესვე- ბის გაყოფით, გაზაფხულობით და შემოდგომით.

არჩილ დარეჯანაშვილი

შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 743.

## სამკურნალო ცნობა

—

ლოთობა ადამიანის დამღუპა- ვია *). ექიმმა მიმართა იქ დამსწრე პირთ: აი, ეხლა ხომ თქვენისავე თვა- ლით დაინახეთ, რომ თევდორეს ტვინ- ში სისხლი სცემია, ჩაჭკუბებია შიგ, ღვიძლი და გული გაჰხვევია ქონში, კუჭსა და ტვინში სამინელს არაყის სუნს დაუბუდნია; ამ ნახულიდან უნდა დარწმუნდეთ, რომ თევდორე ლოთო- ბისაგან არის მკვდარი, მე დაწვრი- ლებით აგიხსნით თუ რა არის ლოთო- ბა და ან რა შედეგებიც მოსდევს. ლო- თობა მოჭარბებული სასმელების ხმარე- ბაა. მაგალითად: სპირტის არაყი, ჭაჭა, ღვინო, ლუდი, რომი, კონიაკი და სხ. ამ სასმელებში ყველაზე მავნებე- ლი და მომწამლელი ადამიანის სტო- მაქისა —არაყია, თუმცა არცარას დანარ- ჩენი სასმელები აკლებენ. არაყი მე- ტად მატყუარა სასმელია, იგი თუმცა გემოვნებით მწარეა, მაგრამ ადამიანს იტყუებს და რამდენიც პირში უჯდება მასი გემოვნება უფრო და უფრო სია- მოვნებითა და წყურვილითა სვამს, რო- დესაც ადამიანი არაყსა სვამს, მას ჰგო- ნია, რომ სხეულს გაუთბობს და გადაა-

ხალისებს, სრულიადაც არა, არაყი უფრო აგრილებს სხეულს და სრულიადა სწყვეტავს და სთენთავს.

მოჭარბებული არაყის ხმარება სახელმწიფოს კეთილდღეობისთვისაც მავნებელია, სულადის არაყის ხდა აჩენს შიმშილობას, უმატებს ავადმყოფობას, პოლიციას, აფთიაქებს, ექიმებს, საპატიმროებს და ყველა ამეებისთვის ფულია საჭირო, იხარჯებიან და უფრო და უფრო დატაკდებიან. არაყის ხმარება სრულიად მეტია ადამიანისთვის: მაგალითებიდან ვიცით, რომ იმ პირთ, რომლებსაც თავის სიცოცხლეში არაყი გემოთ არ უნახავთ, უფრო ხანგრძლივად უცოცხლიათ და მუშაობაც მძიმე უტარებიათ.

არაყს ისეთი თვისება აქვს: როდესაც პირში არაყს ვიგუბებთ ჩასყლაპად, მაშინვე ენიდან და ტუჩებიდან წყალს იწურავს და იშრობს, ამიტომაც გვეჩვენება სიძაგელ სიმწარეთ. კუჭშიაც ამ გვარსვე გავლენას ახდენს. თუ ცოტათი ხართ დასუზმებული და არაყი კი მოჭარბებული დალიეთ, მაშინ კუჭი რიგიანად ვეღარ ხარშავს და ხანდისხან სრულიად მოქმედებას ჰკარგავს და მოუნელებელი სასმელ-საჭმელი ისევ პირიდან ამოაქვს ადამიანს. ეს შემთხვევა ერთხელ საფრანგეთის მეცნიერმა კლოდ-ბერნარმა შემდეგი მაგალითით დაამტკიცა. აიყვანა ორი ძაღლი და ორივენი ერთსა და იმავე საჭმლით გააძღო, შემდეგ ერთ ძაღლს ჩაასხა პირში არაყი და მეორეს ეფირი, ორივე ძაღლები დაითვრნენ. ექვსი საათის შემდეგ ორივე ძაღლებს მუცლები გაუჭრა ნახა, რომ რომელ ძაღლსაც ეფირი დაალევინა მშვენივრად მოენელებინა საჭმელი და რომელსაც არაყი ისევ ხელშეუხებლად ედვა კუჭში მოუნელებელი საჭმელი. უზმოზე არაყის დალევა, ხომ მეტად მავნებელია, რადგანაც ცარიელი კუჭის კედლებს ეკარება არაყი იქიდან პირდაპირ გადადის სისხლში და სისხლიდან ტვინისა და ფეხებისაკენ გარბის.

ადამიანის სხეულში ორგვარი სისხლია, ერთი დაწმენდილი და მეორე დაუწმენდავი, ამიტომაც ძარღვებიც ორგვარია. რომელი სისხლიც დაუწმენდავია, ის მოთავსებულა ზედა ნაწილს სხეულისაში და ეწოდება წვრილი ძარღვები (вены). ამ ძარღვებში მოთავსებული სისხლი სქელია კუპრის ფერს წააგავს. რომელი დედა ძარღვებიც (артеріи) შიგნით ხორცში არიან დაფანტულები, მათში კი წითელი და დაწმენდილი სისხლია მოთავსებული.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

ადამიანი, რომელიც თავის გულის ჭრილობას ქვეყანას შესჩივის, ის მასხარად აგდების ღირსია

—

ვერც ერთი გულგრილობა ვერ შეედრება ძუნწი კაცის გულგრილობას.

—

ზნეობრივი ტანჯვისთანა საზარელი არც არც ერთი ტანჯვა არ არის.

რაც დედამიწის ზურგზე ადამიანის ცრემლია დაღვრილი, იმოდენი ავდარი არ გავარდნია ცას.

—

ბედნიერია ის ადამიანი, რომელმაც იცის რაშიაც ჰკიცხავენ.

## ყურმოკრული საუბარი

ერთმა თავადიშვილმა ბანკიდან ბლომად ფული გამოიტანა და გაუტია ქეიფს. ფული სრულიად გამოელია, მაგრამ მესაზანდრენი მაინც თავს არ ანებებდნენ.

— ძალიან კარგი, — უბრძანა თავგამოდებულმა თავადმა, დაუკარით, ვიქეიფოთ, ფული კი ზედ იმოდენი აღარა მაქვს და კალოობას რამდონ ცარიელა ტომარასაც მოიტანთ, პურით გაგიმსებთ და გაგატანთ.

— ოჰ, ბატონო, რად გვინდა, შენი ჭირიმე, თქვენი ფული ჩვენ პური გვირჩევნიან, წვრილშვილი ხალხი ვართ პურს უფრო გამოვიყენებთ.

მესაზანდრენი კალოობას ტომარა აკიდებულნი მივიდნენ.

— რა გინდათ? ჩაეკითხა გაკვირვებით თავადი.

— თქვენ გახსოვთ, კნიაზჯან, მაშინ რომ პურს დაგვპირდით?

— ვიცი, მერე რაო?

— გვიბოძეთ...

— როცა თქვენ უკრავდით და მღეროდით მე გსიამოვნობდი, ვმხიარულობდი?

— რასაკვირველია, მხიარულობდით...

— როცა პურს დაგპირდით გაგეხარდათ?

— მოგეცა დღეგრძელობა, რომ ჩვენ გაგვეხარდა...

— მაშ ჩვენ გასწორებულნი ვყოფილვართ, როცა თქვენ უკრავდით, მე მიხაროდა და როცა მე პურს დაგპირდით, თქვენ გაიხარეთ, აბა რაღას მედავებითო? და გზა უჩვენა მესაზანდრეთ.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ყაჩაღების უფროსი მამასახლისი. ამ დღეებში ოდესიდან გზავნიდნენ დამნაშავეთ სახალინის კუნძულზე კატორგაში, მათ შორის ერია ერთი ღრმად მოხუცებული კავკასიელი მთიელი, რომელიც დიდის ხნობით მამასახლისობას ასრულებდა თავის სოფელში და იმავე დროს ინახავდა და მეთაურობას უწევდა ყაჩაღების ბრბოს. ბოლოს ჯიბრით ცოლმა გასცა, რადგანაც მოხუცებულმა ქმარმა სახლში თავისი მორეული ნათესავი ხასათ დაისვა. არც ბებერმა ქმარმა დააკლო და გარდუხადა თავისს ოჯახობას სამაგიერო შურის ძიება. მან მოჰკლა თავისი ცოლი, და სამს თავის შვილს ხანჯლით ყელები დასჭრა.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

3 მარტი.

**პეტერბურგი** 3 მარტს დედოფალმა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა დაათვალიერა ალექსანდრეს ინსტიტუტი.

**ვარშავი.** საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში ლექციების კითხვა განახლებულ იქმნა; ხვალ ლექციების კითხვას განაახლებენ უნივერსიტეტსა და საბეითალო ინსტიტუტში.

**ჰააგა.** ჰააგაში განზრახულ
მაღალ კონფერენციაში მონ
ლეობას მიიღებენ წარმომადგენ
ნი ევროპის სახელმწიფოთა, შ
თებულ შტატებისა, ჩინეთისა,
პონიისა, სპარსეთისა და სია
კონფერენციაში მონაწილე
მისაღებად მოწვეულ სახელმწ
თა სიას რუსეთი შეატყობ
ნიდერლანდიის მთავრობას,
ლიც შემდეგ მისაწვევ ბარ
გაუგზავნის ყველა სახელმწი

**ლონდონი.** როგორც „T
es“-ი იუწყება ინგლისის
მაკდონალდი იძულებულია,
ყოფობის გამო, დროებით
ხურს თავი დაანებოს.

# განცხადებანი


**1899 г.** подписка на еженедѣльный журналъ **ГОДЪ XVIII.**

**РЕБУСЪ,** знакомящій читателей съ современною на
разработкой вопросовъ психической области, ка

**медіумизма** (спиритизма), **животнаго магнетизма, ГИПНОТИЗ**
**ясновидѣнія, двойнаго зрѣнія, мысленнаго внушенія, видѣнія призраковъ:**
зненныхъ, присмертныхъ, посмертныхъ и т. п. На страницахъ журнала
щаются описанія сеансовъ извѣстныхъ медіумовъ въ Россіи и заграницею
тьи по **Астрологіи**, знакомящія съ этой наукой, и теор
чески и практически: составленіе гороскоповъ. Статьи по
**культизму**, заключающія въ себѣ ученіе древнихъ и новѣйш
оккультистовъ. **Беллетристика: романы, повѣсти и разсказы**

Годъ съ дост. 5 руб., безъ дост. 4 руб. ½ года 3 » » 2 » | Разсрочка: при подпискѣ 2 руб.; 1 апрѣля, 1-го іюля и 1-го окт. по 1

Адресъ: Царское село (Петербургской губ.), редакція журнала „РЕБУС

(6—5



**1899 годъ** **изданія годъ**

Отрыта подписка на выходящее 20 разъ въ годъ, т. е. по одному ра
теченіе четырехъ лѣтнихъ мѣсяцевъ (май, іюнь, іюль, августъ) и по два
въ остальное время, илюстрованное изданіе безъ предварительной цензу

**„Журналъ Журналовъ**
**и**
**Энциклопедическое Обозрѣніе“.**

Въ 1898 году были напечатаны слѣдующія оргинальныя статьи: проф.—
тизмъ и внушеніе;—Замѣтки о соціализмѣ; —Х-лучи Рентгена. Радіоскопія
діографія; —Потребленіе свѣта растеніями;—1) Вліяніе смѣшенія расъ н
исхожденіе генія, 2) Международный языкъ будущаго; В. Головачовъ—О
флота для Россіи на основаніе исторіи, И. А. Гриневская—1) Альфонсъ Додэ, 2)
выставка, 3) Альма Тадема; 4) Герг. Гауптманъ; проф. Н Коркуновъ—1) Доменико
ландайо и вновь открытая во флоренціи его фреска, 2) Экономическія теоріи ко
ства; проф. 1) Послѣдствія американской побѣды, 2) Типъ преступной же
М. М. Манасеина О деньгахъ и о богатствѣ; проф. Д. И. Менделѣевъ Золото
ребра; проф. Обсерваторія на Монрозѣ и альпійская станція; проф. О совпаде
(съ примѣч. Тріема); Л. Е. Оболенскій Дикость совершенныхъ западно-евро
выхъ масъ и ея причины; проф. О чародѣйствѣ и волшебствѣ у первобытныхъ
довъ, 1) Задачи воздухоплаванія въ 1897 г., 2) Стремленіе къ жизни
конечныхъ причинъ; проф. Л. Саккети Задачи искуства; прив.-доц. Спб. Унив.
рафимовъ—Новости астрономіи; акад. кн. И. Р. Тархановъ.—1) Неожид нау
слѣдіе стараго года, 2) О періодичности въ явленіяхъ жизни, 3) изуч. энергі
роды въ качествѣ цѣлебн. силъ, 4) О чувствѣ оріентированія у голубей, 5) П
луби, 6) О закаливаніи человѣка, 7) О іейронахъ, 8) физіол. и психол. обезгла
9) Рентгеновы лучи и Θемида; и др. Тремъ—О томъ, что было, но прошло и
поросло; и другія статьи разныхъ авторовъ.

Кромѣ оргинальныхъ статей, не появлявшихся до сего въ печати и на
ныхъ большею частью спеціально для журнала выдающимися учеными и мысл
какъ русскими, такъ и иностраными. въ отдѣлѣ „Изъ журналовъ“ печатаются
ты замѣчательнѣйшихъ статей, и статей извѣстнѣйшихъ авторовъ, появляющ
русской или иностранной періодической прессѣ, а также критика и библіограф
зрѣніе русскихъ и иностранныхъ журналовъ смѣсь, гигіена и здоровье и пр. Въ
рамму журнала входитъ: науки естеств., медиц. физико-математ., исторія и об
науки, философія, метафизика, психологія, литература, искуства, критика и т

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ п и сотрудничествѣ и по
блюденіемъ акад. кн. И. Р. Тарханова; исторіи—при сотрудничествѣ
Головачова.

| Подписная цѣна. | | на годъ. |
|---|---|---|
| | На роскошное изданіе съ доставк. и перес. | 10 р. |
| | На дешевое изданіе безъ достав. | 5 „ |
| | „ „ „ съ достав. | 6 „ |
| | За границу деш. изд. | 9 „ |
| | „ „ роск. изд. | 14 „ |

Отдѣльные номера дешеваго изданія по 75 к., роскошнаго изданія по 1 р
Роскошное изданіе печатается на лучшей бумагѣ съ улучшенными илюст
ми и иногда съ увеличеніемъ ихъ количества. Разсрочка на дешевое изданіе съ
сылкою и доставкою при обращеніи непосредственно въ контору журнала до
ется со взносами не менѣе 1 р. ежемѣсячно съ 1 января.

Подписка и продажа отдѣльныхъ №№ во всѣхъ значительныхъ книжных
зинахъ и въ конторѣ журнала.

Издатель-редакторъ И. П. Кондыревъ.

Контора и редакція СПБ., Гороховая, 13 (уголъ Б. Морской).

(10—


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Мартъ 1899 г. ტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუხოსა), რედაქტორ-გამომცემელი ვ.